



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 19251192

თარიღი:29/04/2025

განკარგულება №35

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 31 ერთეულ გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენებზე (ბოძი) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილების სს „სილქნეტისთვის“ იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 2 აპრილის №18-182509273 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 31 (ოცდათერთმეტი) ერთეულ გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენებზე (სოფელი მარტყოფი - 10 ერთეული ბოძი, სოფელი სართიჭალა - 21 ერთეული ბოძი) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილები, იჯარის ფორმით გადასცეს სს „სილქნეტს“, ორი წლის ვადით.

მუხლი 2

საყრდენზე (ბოძი) ერთი წერტილის ყოველწლიური საიჯარო ქირის ღირებულება განისაზღვროს 5 (ხუთი) ლარით.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

